



# დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული  
თავდაცვის აკადემიის

იუნკერთა/მსმენელთა სერვისები

გორი

2019 წელი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეროვნული თავდაცვის აკადემია ეთა-ში ჩარიცხულ იუნკერებსა და მსმენელებს სთავაზობს ფართო სპექტრის მომსახურებასა და სერვისებს, რაც დიდ დახმარებას უწევს საქართველოს მომავალ ოფიცერთა კორპუსს წარმატების მიღწევასა და კარიერულ განვითარებაში. აკადემიის უმთავრეს მიზანს იუნკერის/მსმენელის ფიზიკური, მორალური და ინტელექტუალური განვითარება წარმოადგენს, რომელიც სამომავლოდ მზად იქნება ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში წარმატებული სამსახურისთვის. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების წინაშე არსებული მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე აკადემია ზრუნავს და მაქსიმალურად იცავს იუნკერთა/მსმენელთა უფლებებსა თუ ინტერესებს, უქმნის მათ უსაფრთხო, კომფორტულ სასწავლო გარემოს, უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისითა და თანამედროვე, კეთილმოწყობილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც აუცილებელია ხარისხიანი სწავლა-სწავლების, კვლევითი საქმიანობის, და ასევე, მათი დასვენებისა და განვითარებისათვის.
2. იუნკერთა/მსმენელთა სერვისების ჩამოყალიბება და მისი მუდმივი განვითარება აკადემიის თითოეულ იუნკერსა თუ მსმენელს ეხმარება სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დოკუმენტის შემუშავება მოხდა აკადემიაში იუნკერთა/მსმენელთა სერვისებთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების და განხილვის საფუძველზე. იუნკერთა/მსმენელთა მხარდამჭერი სერვისების ჩამოყალიბებაში, ასევე, დიდი გავლენა იქონია ეთა-ს პარტნიორი უცხოური სამხედრო აკადემიების მხრიდან მიღებულმა რეკომენდაციებმა და გამოცდილებამ.

## მუხლი 2. იუნკერთა/მსმენელთა სერვისების მიზანი

აკადემიის ერთ-ერთ პრიორიტეტს იუნკერთა/მსმენელთა სერვისების მუდმივ რეჟიმში განახლება და განვითარება წარმოადგენს. თანამედროვე და ცვალებად გარემოში იუნკერს/მსმენელს ხარისხიანი უმაღლესი განათლების მისაღებად უნდა შეეძლოს მისთვის საჭირო ინფორმაციასთან დროული და შეუფერხებელი წვდომა. იუნკერთა/მსმენელთა სერვისების საშუალებით, აკადემიაში ჩარიცხულ თითოეულ კურსსანტს საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლია დამატებითი კონსულტაციების (ტუტორიალის) გამართვა შესაბამის სამსახურებთან. წინამდებარე წესი შემუშავებულია ზვემოთმოცემული ამოცანების რეალიზაციის მიზნით:

- 2.1. იუნკერთა/მსმენელთა სერვისების და მომსახურების ერთიანი სტანდარტების დანერგვა;

2.2. იუნკერთა/მსმენელთა უფლებებისა და მოვალეობების მკვეთრად განსაზღვრა და აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტების შემუშავება;

2.3. იუნკერთა/მსმენელთა სათანადო ინფორმირებულობის სტრატეგიის შექმნა და MOODLE-ში იუნკერთა/მსმენელთა სერვისების პლატფორმის შეუფერხებელ ფუნქციონირება;

2.4. იუნკერთა/მსმენელთა სერვისების მუშაობიდან გამომდინარე აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება და დელეგირება;

2.5. ექსტრაკურკულარული აქტივობების გამრავალფეროვნება და აკადემიის/იუნკერის დღის განრიგზე მორგება.

### მუხლი 3. იუნკერთა/მსმენელთა სერვისების მუშაობის სპეციფიკა

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში არ არსებობს ცალკე დამხმარე სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იუნკერებისათვის/მსმენელებისათვის აკადემიური სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. შესაბამისად, აკადემიის ხელმძღვანელობამ, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, იუნკერთა/მსმენელთა სერვისების განხორციელებაზე პასუხისმგებლობის გადანაწილება დააკისრა სხვადასხვა სამსახურს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის საინფორმაციო მხარდაჭერას უწევს იუნკერსა და მსმენელს, როგორც ონლაინ, ისე პირისპირ შეხვედრის და კონსულტაციების გამართვის ფორმატში. აკადემიაში აღნიშნული ფუნქციების დელეგირება ხდება შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს შორის:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- აკადემიის ადმინისტრაცია;
- ბიბლიოთეკა;
- ფსიქოლოგიური მომზადების განყოფილება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო.

### მუხლი 4. აკადემიაში მოქმედი იუნკერთა/მსმენელთა სერვისები

ზემოაღნიშნული ხედვისა და მიზნების განსახორციელებლად აკადემიაში შემუშავებულია იუნკერთა/მსმენელთა სერვისების წესი, რომელიც გამოყოფს 6 ძირითად მიმართულებას.

1. სახელმწიფოს მხრიდან სრულად დაფინანსებული უმაღლესი განათლება და გარანტირებული დასაქმება თავდაცვის ძალებში

აკადემიის იუნკერს/მსმენელს აქვს უნიკალური შესაძლებლობა უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლება მიიღოს აკადემიაში, რომელიც საქართველოს

თავდაცვის სამინისტროს მხრიდან იქნება სრულად დაფინანსებული. აკადემიის კურსდამთავრებული დაეუფლება ბაკალავრის დიპლომს არსებული საგანმანათლებლო პროგრამებიდან (ინფორმატიკა, მენეჯმენტი, თავდაცვა და უსაფრთხოება) ერთ-ერთში, მას ასევე ენიჭება სამხედრო ოფიცრის წოდება, ლეიტენანტი და ხდება მისი დასაქმება ოცმეთაურის პოზიციაზე საქართველოს თავდაცვის ძალებში. გარდა ამისა, ფინანსურ მხარდაჭერაში ხაზგასასმელია ისიც, რომ თითოეული იუნკერის/მსმენელის ცხოვრება აკადემიის სასწავლო კამპუსზე სრულად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო იუნკერი/მსმენელი აკადემიური მოსწრებისა და რეიტინგის მიხედვით დამატებით იღებს აკადემიის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თვიურ სტიპენდიას.

## 2. აკადემიის კეთილმოწყობილი სასწავლო ბაზა და ინფრასტრუქტურა

აკადემიის ადმინისტრაცია უწყვეტ რეჟიმში ზრუნავს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებაზე.

### 2.1. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და საგამოცდო ცენტრი

აკადემიის იუნკერებისა და მსმენელებისათვის, ეთა-ს კამპუსზე შექმნილია ყველა საჭირო პირობა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების მისაღებად. აკადემიის უსაფრთხო და დაცულ გარემოში, გამართულ საკლასო და სამუშაო ოთახებში, კომპიუტერულ კლასებში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე და სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ტექნიკური აპარატურითა და სხვა მატერიალური საშუალებებით, იუნკერს/მსმენელს ეძლევა ცოდნის მიღებისა თუ კვლევითი საქმიანობის განხორციელების სრული შესაძლებლობა.

### 2.2. კომფორტული და თანამედროვე ბიბლიოთეკა

აკადემიის ბიბლიოთეკა განთავსებული ცალკე შენობაში, რომელიც უზრუნველყოფილია მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევით ბაზაზე, რაც ზრდის იუნკერის/მსმენელის მხრიდან სამეცნიერო საქმიანობით დაინტერესებას. აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნსაცავში დაცულია სილაბუსების/მოდულების მიხედვით მითითებული ყველა აკადემიური თუ სამხედრო ლიტერატურა, ხელმისაწვდომი ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ინდივიდუალური სამუშაო მაგიდები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალების დასაკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყოველთვის მზად არიან მკითხველთა დასახმარებლად. ბიბლიოთეკარი სამუშაო შეხვედრების/ტრენინგების ფარგლებში პერიოდულად ხვდება იმ იუნკერს/მსმენელს, რომელიც დაინტერესებულია სამეცნიერო-

აკადემიური ინფორმაციის მოძიებით, წყაროების სანდოობის შემოწმებითა და მოძიებული ინფორმაციის დამუშავების მეთოდებით. ბიბლიოთეკის მუდმივი განახლება აკადემიის განვითარების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში მარაგდება უცხო ქვეყნის საელჩოების მიერ გადმოცემული ჟურნალ-გაზეთებითა თუ სამხედრო თემატიკის ლიტერატურით.

### 2.3. მოსასვენებელი-რეკრეაციული ადგილები

აკადემიის კამპუსზე მოქმედებს რეკრეაციული ცენტრი, რომელიც საჭირო დროს გამოიყენება იუნკერების/მსმენელების, ასევე აკადემიაში მოწვეული სტუმრებისათვის, კომფორტული, მყუდრო გარემოს შესაქმნელად, ასევე, დასვენების და სოციალური ღონისძიებების ორგანიზების მიზნით.

### 2.4. გამართული სპორტული კომპლექსი

აკადემიის იუნკერს/მსმენელს აქვს შესაძლებლობა აკადემიაში სწავლის პერიოდში ისარგებლოს ბაზაზე არსებული თანამედროვე სპორტული კომპლექსით, რომელიც მოიცავს საცურაო აუზს, სავარჯიშო დარბაზებს, სპორტულ დარბაზებს ხელჩართული ბრძოლისა და კრივისთვის. ამას გარდა, აკადემიის სასწავლო პროგრამების ფარგლებში თითოეული იუნკერი ჩართულია სხვადასხვა სპორტულ წრეებში - ცურვა, ფეხბურთი, ჭადრაკი და სხვ. ზემოაღნიშნული ხელს უწყობს აკადემიის იუნკერს/მსმენელს სწორ ფიზიკურ მომზადებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაში.

## 3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება - იუნკერის/მსმენელის საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა

ინგლისური ენის მცოდნე აკადემიის იუნკერებსა და მსმენელებს მთელი წლის განმავლობაში აქვთ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა გრძელვადიან თუ მოკლევადიან საერთაშორისო გაცვლით პროექტში, კონფერენციაში, სამხედრო მეცადინეობასა თუ სწავლებაში. აღნიშნული მიმართულების მიზანია მოხდეს აკადემიის იუნკერებისა და მსმენელების მიერ საერთაშორისო გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკის შეძენა და ამ ყველაფრის ყოველდღიურ საქმიანობაში ინტეგრირება. გარდა ამისა, საერთაშორისო პროექტების საშუალებით იუნკერები/მსმენელები საკუთარი სამხედრო კარიერის საწყის ეტაპზევე კონტაქტებს ამყარებენ უცხოელ თანატოლებთან და მომავალ კოლეგებთან. საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობა ძირითადად ხორციელდება აკადემიის მიერ საზღვარგარეთის სამხედრო სასწავლებლებთან გაფორმებული შეთანხმებებითა და ურთიერთგაგების მემორანდუმებით.

## 4. ფსიქოლოგიური საკონსულტაციო მომსახურება

აკადემიის იუნკერისა და მსმენელისთვის აკადემიის ფსიქოლოგიური მომზადების განყოფილება უზრუნველყოფს ემოციური სტაბილურობის და მათი ლიდერული

უნარ-ჩვევების მხარდაჭერას. მუშაობა წარიმართება სწავლების, კვლევისა და კონსულტირების პროცესში, მომართვიანობის მიხედვით, იუნკერის/მსმენელის ან მათი უშუალო მეთაურის მხრიდან.

#### 5. პირველადი სამედიცინო მომსახურება და დაზღვევის პოლისი

აკადემიის ტერიტორიაზე მდებარეობს სამედიცინო პუნქტი, სადაც შესაძლებელია მომართვიანობის შემთხვევაში პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა მოხდეს თითოეული იუნკერისა და მსმენელისათვის. სამედიცინო პუნქტის პერსონალი მზად არის გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს სრულყოფილი პირველადი სამედიცინო მომსახურება გაუწიოს დაზარალებულს. სერიოზული დაზიანების შემთხვევაში მიმდინარეობს იუნკერისა თუ მსმენელის გადაყვანა ქ. გორის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც ყველა საჭირო სამედიცინო მომსახურების საფასური სახელმწიფოს მხრიდან, იუნკერის/მსმენელისთვის გამოყოფილი ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტიდან იფარება.

#### 6. ექსტრაკურიკულარული აქტივობები და ღონისძიებები

აკადემია იუნკერებისთვის/მსმენელებისთვის გარდა ხარისხიანი აკადემიური განათლების მიწოდებისა ზრუნავს და სწავლის პერიოდში მათ სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ინტელექტუალურ, შემეცნებით, გასართობ და სპორტულ აქტივობაში ჩართულობას. აკადემიას ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა დარგში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი სპიკერები, რომლებიც საინტერესო და აქტუალურ თემებზე უტარებენ იუნკერებს/მსმენელებს ლექციებს, რაც ეხმარება აკადემიის კურსანტს ზოგადი განათლების მიღებისა და ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. ამასთანავე, აკადემიის იუნკერები/მსმენელები სამხედრო საქმის შესწავლის გარდა დაკავებულნი არიან სხვადასხვა შემოქმედებითი საქმიანობით (მუსიკალური ბენდი, ხატვის წრე, თეატრალური კლუბი).